




ხორცის ბაზარი საქართველოში

ხორცის ბაზარი საქართველოში

ავტორი: გიორგი ბულია


საქართველოში, წლების მიხედვით, სტაბილური ზრდა შეინიშნება ხორცსა და ხორცპროდუქტების მოხმარებაზე. ზუსტი პასუხი, იმასთან დაკავშირებით, თუ რამ გამოიწვია ეს ზრდა არ არსებობს, თუმცა შესაძლოა ეს იყოს გემოვნების ცვლილება, სხვა ალტერნატიულ ჩამანაცვლებელ პროდუქტებზე ფასების ზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია (ხორცი წარმოადგენს პროტეინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს) და სხვა მიზეზები.

გარდა ხორცის მოხმარების ზრდისა, ქართული ხორცის ბაზრის კვლევის შედეგად იკვეთება შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- ხორცის ადგილობრივი წარმოება უმეტესწილად ექსტენსიურია და არ რეაგირებს სათანადოდ ბაზრის სიგნალებზე;
- ხორცის ბაზარი ძირითადად დამოკიდებულია იმპორტირებულ უცხოურ ნაწარმზე (2008 წლიდან დღემდე იმპორტი აჭარბებს ადგილობრივ წარმოებას);
- იმპორტირებული ხორცის უდიდესი ნაწილი არის გაყინული ხორცი, რომლის ღირებულებაც უფრო დაბალია ვიდრე ადგილობრივად წარმოებული ხორცი;
- ექსპორტირებული ხორცის უდიდესი წილი მოდის რე-ექსპორტზე არასათანადოდ განვითარებული ადგილობრივი წარმოების და ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო;
- გაძვირებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ძროხა, კამეჩი და იაკი) ხორცი გარკვეულწილად ჩანაცვლდა შედარებით უფრო იაფი ღორისა და ფრინველის ხორცით.

2010-2018 წლებში ხორცის მოხმარების საშუალო ზრდამ (CAGR) დაახლოებით 2% შეადგინა. ხორცის მოხმარების განაწილება (ათასი ტონა) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვირსა და თხის და ფრინველის ხორცს შორის მოცემულია შემდეგ გრაფიკზე:

ხორცის მოხმარების სტრუქტურა 2010-2018 წლებში




თავის მხრივ ხორცის მოხმარებაში იკვეთება რამოდენიმე ტენდენცია:

- მცირდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვების (მროხა, კამეჩი და ა.შ) ხორცის მოხმარება.
- იზრდება ღორისა და ფრინველის ხორცის მოხმარება, შესაბამისი საშუალოწლიური 5.1% და 2.7%-იანი ზრდით.
- ცხვრისა და თხის ხორცის მოხმარება ხასიათდება არასტაბილური დროებითი ტრენდებით.

მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, თუმცა ქართველი რიგითი მომხმარებელი განსაკუთრებით მგრძნობიარეა ფასის მიმართ, რომელსაც ხაზს უსვამს ქვემოთ მოცემული გრაფიკი სადაც მოცემულია ხორცის ფასები ლარებში ფერმის კართან.

ხორცის ფასები ფერმის კართან 2014-2018 წლებში




წყარო: National Statistics Office of Georgia

როგორც გრაფიკიდან ჩანს, მხოლოდ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის ფასი იზრდება მუდმივად და 2014-2018 წლებში საშუალო წლიური ზრდა შეადგენს 7.5%-ს, ყველაზე მაღალ მაჩვენებელს ფრინველის, ღორის და ცხვრის და თხის ხორცის ფასის ყოველწლიურ საშუალო ფასის ზრდასთან შედარებით. რამდენობრივადაც მსხვილფეხა რქოსან პირუტყვთა ხორციც ყველა სხვა სახეობის ხორცთან შედარებით უფრო ძვირია, ხოლო ამის საპირისპიროდ ფრინველის ხორცის ფასი ყველაზე დაბალია და ასევე ყველაზე ნაკლებად ხასიათდება მნიშვნელოვანი რყევებით. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, ქართველმა მომხმარებელმა კიდევ უფრო მეტად გამვირებული მსხვილფეხა პირუტყვების ხორცი გარკვეულწილად შედარებით იაფი ღორის და ქათმის ხორცით ჩაანაცვლა.

ასევე საინტერესოა ქართული ხორცის ბაზარს რამდენად შეუძლია სასურსათო ხორცზე მოთხოვნის ადგილობრივი რესურსებით დაკმაყოფილება და რამდენად მარაგდება იგი იმპორტირებული ნაწარმით. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ჩანს, რომ ხორცის ბაზარი უმეტესწილად იმპორტზეა დამოკიდებული. უკანასკნელად ხორცის ადგილობრივმა წარმოებამ იმპორტს 2008 წელს გადააჭარბა. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული ხორცის წარმოების მასშტაბები თითქმის განახევრდა და 83.3 ათასი ტონიდან (2006) შემცირდა 42.6 ათას ტონამდე (2012). 2013 წლის შემდეგ ხორცის ადგილობრივ წარმოებაში დადებითი დინამიკა შეიმჩნევა, თუმცა იგი კვლავინდებურად ჩამოუვარდება 2006 წლის ნიშნულს, შეადგენს რა მხოლოდ 72.6 ათას ტონას. ხორცის ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტის დინამიკა ათას ტონებში მოცემულია მესამე გრაფიკში:


ხორცის იმპორტი და ადგილობრივი წარმოება 2006-2018 წლებში



წყარო: National Statistics Office of Georgia

ასევე საინტერესოა თუ რომელი სახეობის ხორცის ბაზარია ყველაზე მეტად დამოკიდებული უცხოურ წარმოებასა და შესაბამისად იმპორტზე და რომელი სექტორი ეყრდნობა უმეტესწილად ადგილობრივ წარმოებას. როგორც გრაფიკზე ჩანს, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვებისა და ცხვრის და თხის ხორცი ბაზრის უზრუნველყოფა უმეტესწილად ადგილობრივ წარმოებაზეა დამოკიდებული, ხოლო ამის საპირისპიროდ ღორის, თევზისა და ფრინველის ხორცის ბაზარი უმეტესწილად მარაგდება იმპორტით. (ქვემოთ მოცემული სტატისტიკა ასევე მოიცავს თევზის წარმოებას ათას ტონებში, რომლის აღრიცხვასაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2017 წლიდან ეწევა):

ადგილობრივი წარმოება და იმპორტი სექტორულ კრილში 2017-2018 წლებში



წყარო: National Statistics Office of Georgia

რეგიონების კუთხით საქართველოში ხორცის წარმოების მხრივ ლიდერია შიდა ქართლის რეგიონი, სადაც მთლიანად წარმოებული ხორცის 29% იწარმოება. ხოლო კონკრეტულად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვების, ღორის, ცხვრისა და თხის და ფრინველის ხორცის წარმოების მხრივ კი ლიდერი შემდეგი რეგიონებია:



- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვების ხორცი: იმერეთი (23%) და სამეგრელო ზემო სვანეთი (19%)
- ღორის ხორცი: იმერეთი (22%) და კახეთი (20%).
- ცხვრის და თხის ხორცი: კახეთი (47%) და ქვემო ქართლი (29%).

- ფრინველის ხორცი: ქვემო ქართლი (61%) და კახეთი (9%).
- თევზის ხორცი: შიდა ქართლი (30%) და კახეთი (28%).

საქართველოში საბოლოო ჯამში ფუნქციონირებს 205 საწარმო რომელიც დაკავებულია ხორც პროდუქტების წარმოებით, მათ შორის ნახევარფაბრიკატების, მეხვეულის წარმოებითა და ხორცის გადამამუშავებით. გარდა 205 საწარმოსი, ასევე ფუნქციონირებს 116 ცხოველთა სასაკლაო. სასაკლაოთა ამჟამინდელი ტევადობა არ აკმაყოფილებს HACCP-ის მოთხოვნებს სრულად, რის გამოც საჭიროა მათი მწარმოებლურობის გაზრდა HACCP-ის სტანდარტების შესაბამისად. HACCP-ის სისტემას რეკომენდაციას უწევს სურსათის უვნებლობის სააგენტო როგორც მომხმარებლის დაცვის ყველაზე კარგ საშუალებას სურსათის წარმოებისა და მიწოდების ბიზნესში. მისი მეშვეობით ხორცის მწარმოებლები და მიმწოდებლები იცავენ საკუთარ ბიზნესს, წარმოებულ პროდუქტს და ხორცის მომხმარებლებს შესაძლო დაავადებებისგან.

საქართველოში თითქმის ყველა შინამეურნეობა დაკავებულია მეცხოველეობით თუმცა მათი ამოსავალი წერტილი არა წარმოების გაფართოება, არამედ პირადი მოხმარებაა. მაგალითისთვის შინამეურნეობათა დაახლოებით 94.8% ფლობს ათამდე სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ხოლო მეურნეობათა მხოლოდ 0.4% ფლობს 100-ზე მეტ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს. დაბალი მწარმოებლურობის ერთ-ერთი მიზეზი არის ასევე არაპროდუქტიული შერეული ჯიშები, რომლებიც დაბალი მწარმოებლურობით ხასიათდებიან. ასევე ადგილობრივი ფერმერები არ მიმართავენ ცხოველთა ხელოვნურ განაყოფიერებას და მათი რეპროდუქცია ხორციელდება ბუნებრივი გზით რაც აფერხებს პროდუქტიული ჯიშების განვითარების ხელშეწყობას.

ადგილობრივ ფერმერებში არის კომპეტენციის ნაკლებობა მეურნეობის მართვის ეფექტური პრაქტიკების კუთხით და მათ ასევე უჭირთ პროდუქტიულობის გასაზრდელად კვების რაციონის შერჩევა. ასევე პრობლემურია ვეტერინარული მომსახურება რადგან საქართველოში შეინიშნება პროფესიონალ ვეტერინართა ნაკლებობა თუმცა რეგიონულ ცენტრებში არსებობს ვეტერინარული აფთიაქები სადაც ფერმერები კონსულტაციასაც გამყიდველებისგან იღებენ. სურსათის ეროვნულ სააგენტოს კონტრაქტით 600 ვეტერინარი და პარავეტი ჰყავს რომლებიც სახელმწიფოს დაფინანსებით ახორციელებენ დაავადებების საპრევენციო ვაქცინაციებს და ცხოველთა რეგისტრაციას, თუმცა დგას მათი კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება. ვეტერინარია, როგორც პროფესია, არ გამოირჩევა საქართველოში პოპულარობით და შესაბამისად მხოლოდ აგრარულ უნივერსიტეტი აძლევს შესაძლებლობას სტუდენტებს გახდნენ ვეტერინარები.

აღსანიშნავია სამოვრების პრობლემა რომლის მენეჯმენტის პრაქტიკაც საქართველოში არ არსებობს. საჯარო მფლობელობაში არსებულის სამოვრები არ იძლევიან მაღალი ხარისხის ბალახს და ასევე პრობლემაა მათი გადაჭარბებული ექსპლუატაცია, რომელიც მიზეზია პირუტყვთა ჭარბწონიანობის.

რაც შეეხება ხორცის ხარისხის მონიტორინგს, სურსათის ეროვნული სააგენტო არის პასუხისმგებელი სურსათის უვნებლობის მონიტორინგზე, ცხოველთა ჯანმრთელობის კონტროლსა და ცხოველთა

დაავადებების გაფართოების პრევენციაზე. ის ასევე ახორციელებს ბაზრის ოპერატორებისა და სასაკლაოების რეგულარულ შემოწმებას და ვაქცინაციას ცხოველთა დაავადებების თავიდან აცილების მიზნით.

საქართველოში არსებობს სახელმწიფოსა და დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამები რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერება. სახელმწიფო ახორციელებს შეღავათიანი აგრო კრედიტის პროექტს, უზრუნველყოფილს დაბალი საპროცენტო განაკვეთით რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის საწარმოების წახალისებას. თავის მხრივ, საერთაშორისო დონორებიც უწევენ ფერმერებს, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ დახმარებებს

ქართულ ხორცის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შეფასების შემდეგ იკვეთება შემდეგი ძირეული პრობლემები:

- ექსტენსიურად განვითარებული ადგილობრივი წარმოება
- წვრილ შინამეურნეობათა სიმრავლე და მასშტაბის ეფექტის ნაკლებობა
- არაპროდუქტიული შერეული ჯიშები
- იმპორტზე დამოკიდებულება
- სასაკლაოთა და ხორც პროდუქტების მწარმოებელ საწარმოთა HACCP-ის სტანდარტებთან ხშირი შეუსაბამობა
- ფერმის მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვის ნაკლებობა
- არასათანადო ვეტერინარული მომსახურება

სამომავლოდ ხორცის ბაზრის განვითარებისა და ქართველი ფერმერების ხელშეწყობისათვის აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- ჯიშების გაუმჯობესებასა და შენარჩუნებაში სახელმწიფოს მხარდაჭერის გაზრდა, ასევე ხელოვნური განაყოფიერების სერვისების ხელმისაწვდომობა.
- შინამეურნეობებს არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსები მაღალ პროდუქტიული ჯიშების შესაძენად, რის გამოც აუცილებელია გარკვეული ფინანსური დახმარება ან თანადაფინანსება.
- საჭიროა ვეტერინარიის, როგორც პროფესიის პოპულარიზაცია და უფრო მეტად წახალისება, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში.
- უნდა შემუშავდეს გრძელვადიანი სქემები რომლებიც ორიენტირებული იქნება უცხოელი სპეციალისტების საქართველოში ჩამოყვანასა და მათი ვეტერინარიისა და თანამედროვე ფერმის მენეჯმენტის გამოცდილების ქართველ ფერმერებისთვის გაზიარებაზე.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული საკონსულტაციო ცენტრები უნდა იქნას გამოყენებული როგორც ინფორმაციისა და სერვისების მიმწოდებელი პლატფორმა ხორცის მწარმოებელი ფერმერებისათვის.
- უნდა მოხდეს ხორცის მწარმოებელი ფერმერების სტიმულირება რომ დარეგისტრირდნენ და მიეცეთ წვდომა ბანკის სესხებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთებით.

- კომერციულ სადაზღვეო პაკეტებში უნდა ჩაერთოს პირუტყვებიც.
- ფერმერებს შორის თანამშრომლობის და კოოპერატივების ჩამოყალიბების წახალისება.
- მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება რათა მათ შეძლონ ჯანმრთელობისთვის საშიში და უსაფრთხო ხორცის პროდუქტების გარჩევა.
- საჭიროა სურსათის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობების გაზრდა ცხოველთა ჯანმრთელობისა და ხორც პროდუქტების უვნებლობის უფრო ეფექტური მონიტორინგისთვის.
- ხარისხის ნიშნის შემოღება ხორცპროდუქტებზე, რომელიც გაზრდის როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელი მომხმარებლების ნდობას საქართველოში წარმოებულ ხორცის მიმართ.

PMO მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს.

ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით¹.

www.pmo-bc.com
(+995 32) 2 37 73 07
contact@pmo-bc.com
16 რ. ერისთავის ქ.
თბილისი 0179, საქართველო



¹ მნიშვნელოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული მთავარი წყაროს გარეშე – www.pmo-bc.com